საქართველო
GEORGIA

იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

№ 04/63/03-8772
15 - 10 - 2007 წ.

ქ-ნ ნ. ჩიტაიშვილს
ქ-ნ ხ. ჭიპაშვილს
ბატონო ირაკლი ოქრუაშვილო

16.10.07

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენს მიერ ამა წლის 14 სექტემბრის N07-04/9428 წერილით წარმოდგენილი ბრიუსელის 1983 წლის 14 ივნისის კონვენცია „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ" და მისი დანართი „ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურა" და მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

1. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის თანახმად და ასევე „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად აღნიშნული კონვენციის საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარებაზე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირება.

2. კონვენციის მე-3 მუხლი ითვალისწინებს მხარეთა ვალდებულებას მათთვის კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ მოახდინონ მათი საბაჟო სატარიფო და სტატისტიკური ნომენკლატურების შესაბამისობაში მოყვანა წინამდებარე კონვენციით დადგენილ ჰარმონიზებულ სისტემასთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანას მხარეთა შიდა კანონმდებლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ამ კონვენციის საჭიროების შემთხვევაში უნდა დაერთოს კანონპროექტი საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

3. გაერთიანებული ერების კლასიფიკაციით საქართველო შესულია განვითარებად ქვეყნების სიაში. კონვენციის მე-4 და მე-5 მუხლებთან მიმართებაში სასურველია განისაზღვროს საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის მიერ, ამ მუხლებით გათვალისწინებული დებულებების გამოყენების მიზანშეწონილობა.

4. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-2 მუხლის გამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ამ მუხლის I (ა) პუნქტის ვალდებულებების შესაბამისად,

4481
16.10.07

ყოველმა მონაწილე მხარემ უნდა განახარციელოს ისეთი ტექნიკური ცვლილებები მის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, რომელიც საჭიროა ჰარმონიზებული სისტემის ამოქმედებისათვის."

5. მე-12 და მე-13 მუხლებში კონვენციის მონაწილე მხარედ გახდომის და მისი ძალაში შესვლის ერთ-ერთ პროცედურად აღნიშნულია კონვენციასთან მიერთება. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლის ერთ-ერთ საშუალებად ითვალისწინებს მასთან შეერთებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლებში სიტყვა „მიერთება" შეიცვალოს სიტყვით „შეერთება".

7. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-17 მუხლის პირველი აბზაცი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მის ოფიციალურ ინგლისურენოვან ტექსტთან. კერძოდ: ფრაზა, „მე-8 მუხლის პუნქტი 2 და მე-16 მუხლი" უნდა შეიცვალოს ფრაზით „მე-8 მუხლი და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით". ასევე, ამავე მუხლის (გ) ქვეპუნქტში ფრაზა „მე-5 მუხლის პუნქტ 5-ში" შეიცვალოს ფრაზით „მე-4 მუხლის მე-5 პუნქტში".

8. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-18 მუხლი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მის ოფიციალურ ინგლისურენოვან ტექსტთან. კერძოდ, სიტყვა „შენიშვნები" უნდა შეიცვალოს სიტყვით „დათქმები".

9. მე-19 მუხლის (გ) ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ გენერალურმა მდივანმა მონაწილე სახელმწიფოებს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება იმ თარიღის შესახებ, როდესაც კონვენცია ძალაში შედის მე-16 მუხლის შესაბამისად. ვინაიდან კონვენციის ძალაში შესვლის პროცედურები გათვალისწინებულია არა მე-16, არამედ მე-13 მუხლში, აქედან გამომდინარე ფრაზა „მე-16 მუხლის" უნდა შეიცვალოს ფრაზით „მე-13 მუხლის", რაც ასევე შესაბამისობაში იქნება კონვენციის ოფიციალურ ინგლისურენოვან ტექსტთან.

თინა ბურჭულაძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა

მეოთხე გამოცემა (2007 წ.)

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია
(დაფუძნებულია 1952 წ. როგორც საბაჟო თანამშრომლობის საბჭო)

რუ დე მარში, 30
ბ 1210 – ბრიუსელი ბელგია

ტელეფონი: +32-3-209-92-11 ფაქსი: + 32-2-209-94-92

ვებ-გვერდი: http://wcoomd.org

ელ-ფოსტა: information@wcoomd.org

VIII E

საბაჟო თანამშრომლობის საბჭო (C.C.C.) დაფუძნდა ბრიუსელში, 1950 წ. 15 დეკემბერს ხელმოწერილი კონვენციით.*

ამ კონვენციის დებულებებით, საბჭოს ფუნქციებს წარმოადგენს:

(ა) საბაჟო საქმეებში თანამშრომლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესწავლა.

(ბ) საბაჟო სისტემების ტექნიკური ასპექტების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული ეკონომიკური ფაქტორების შესწავლა მისი წევრებისთვის პრაქტიკული ღონისძიებების შეთავაზების მიზნით ჰარმონიისა და ერთგვაროვნების რაც შეიძლება მაღალი დონის მისაღწევად.

(გ) კონვენციებისა და მათი შესწორებების პროექტების მომზადება და დაინტერესებული მხარეებისათვის მათი მიღების რეკომენდაცია.

(დ) რეკომენდაციების შემუშავება მათი მუშაობის შედეგად ხელმოწერილი კონვენციების, აგრეთვე საბაჟო ტარიფებში საქონლის კლასიფიკაციის ნომენკლატურის, და საბაჟო მიზნებისთვის საქონლის შეფასების კონვენციების ინტერპრეტაციისა და გამოყენების უნიფიცირების უზრუნველყოფის მიზნით, და, ამგვარად, ისეთი ფუნქციების შესრულება, რომლებიც სპეციალურად ეკისრება მას ამ კონვენციებით, მათი დებულებების შესაბამისად.

(ე) რეკომენდაციების შემუშავება, შეთანხმების მიღწევის ხელშესაწყობად, ისეთი დავის მოსაგვარებლად, რომელიც ეხება ზემოთ (დ) პუნქტში აღნიშნული კონვენციების დებულებათა ინტერპრეტაციასა და გამოყენებას.

(ვ) საბაჟო დებულებებსა და პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციის ცირკულაციის უზრუნველყოფა.

(ზ) საკუთარი ინიციატივით ან თხოვნის საფუძველზე, დაინტერესებული მთავრობებისთვის ინფორმაციის მიწოდება ან კონსულტაციის გაწევა წინამდებარე კონვენციის ზოგადი მიზნების ფარგლებში და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

(თ) სხვა სამთავრობათაშორის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭო წარმოადგენს იურიდიულ პირს.

- *1994 წ. ივნისს საბჭომ მიიღო არაოფიციალური სამუშაო სახელი "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO)" საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ნაცვლად, რათა უფრო მკაფიოდ წარმოჩენილიყო მისი არსი და მსოფლიო მასშტაბების სტატუსი. ორგანიზაციის დამფუძნებელ კონვენციაში ცვლილებები არ შესულა, ამიტომ "საბაჟო თანამშრომლობის საბჭო" მის ოფიციალურ სახელად რჩება.*

* *საავტორო უფლება © მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია. ყველა უფლება დაცულია. თარგმნის, გამრავლების და ადაპტაციის უფლებასთან დაკავშირებული თხოვნები და შეკითხვები იგზავნება მისამართზე:*

copyright@wcoomd.org

D/2005/0448/28

VIII E

სარჩევი

	გვერდი
შესავალი	
კარი I **ძირითადი ტექსტი**	
საერთაშორისო კონვენცია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ	I – VIII
საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შესწორების ოქმი	IX
ჰარმონიზებული სისტემის შესწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები	X
კარი II **ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურა**	
სარჩევი	2-6
აბრევიატურები და აღნიშვნები	7
ნომენკლატურა	8-372

შესავალი

ეს გამოცემა მოიცავს შემდეგს:

ა) საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს მიერ 1983 წ. 14 ივნისს დამტკიცებული საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ საერთაშორისო კონვენციის, ამ კონვენციის შესწორების ოქმის და ჰარმონიზებული სისტემის შესწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების ტექსტებს (კარი I);

ბ) ზემოაღნიშნული კონვენციით დაწესებული ნომენკლატურის შესწორებულ ტექსტს, 2007 წ. 1 იანვრის მდგომარეობით (კარი II).

ნომენკლატურა შეიცავს ჰარმონიზებული სისტემის ინტერპრეტაციის ზოგად წესებს, ნაწილის, თავის და ქვეთავების შენიშვნებს, და თაეებსა და ქვეთაეებს. ყოველი პოზიცია იდენტიფიცირდება ოთხი ციფრით, პირველი ორი აღნიშნავს თავის ნომერს, შემდეგი ორი კი – სათაურების რიგით მიმდევრობას თაეში. თავების ნომრები მოცემულია პირეელ სვეტში (*).

მეორე სვეტში მოცემულია ჰარმონიზებული სისტემის ექვსნიშნა კოდები.

მესამე სვეტში მოცემულია თავების ტექსტები – მსხვილი შრიფტით და ქვეთავების ტექსტები – ჩვეულებრივი შრიფტით.

ეს (ინტერპრეტაციის ზოგადი წესები, თაეებისა და ქვეთაეების შენიშვნები და თაეებისა და ქვეთავების ნომრები და ტექსტები) და მხოლოდ ეს დებულებები წარმოადგენს ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურას.

* კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული თავის ნომრები აღნიშავს, რომ შესაბამისი სათაურები ამოღებულია (მაგ. პოზიცია [15.19]).

კარი I

ძირითადი ტექსტები

საერთაშორისო კონვენცია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ

(ბრიუსელი, 1983 წ. 14 ივნისი)

პრეამბულა

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ეგიდით შემუშავებული კონვენციის მონაწილე მხარეები,

სურთ რა ხელი შეუწყონ საერთაშორისო ვაჭრობას,

სურთ რა ხელი შეუწყონ სტატისტიკური – განსაკუთრებით, საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებას, შედარებასა და ანალიზს,

სურთ რა შეამცირონ საქონლის ხელახალი აღწერით, კლასიფიკაციითა და რეგისტრაციით გამოწვეული ხარჯები საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში მათი ერთი საკლასიფიკაციო სისტემიდან მეორეში გადასვლისას და ხელი შეუწყონ სავაჭრო დოკუმენტაციის სტანდარტიზაციას და მონაცემების გადაცემის,

ითვალისწინებენ რა, რომ ცვლილებები ტექნოლოგიასა და საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში მოითხოვს 1950 წლის 15 დეკემბერს ბრიუსელში ხელმოწერილი საბაჟო ტარიფებში საქონლის კლასიფიკაციის ნომენკლატურის შესახებ კონვენციის ფართო ცვლილებებს,

ასევე ითვალისწინებენ რა, რომ მთავრობებისა და ვაჭრობის ინტერესებიდან გამომდინარე, გაიზარდა მოთხოვნები დეტალურ ინფორმაციაზე საბაჟო და სტატისტიკური მიზნებით, იმასთან შედარებით, რაც მოცემულია ზემოაღნიშნულ კონვენციის თანდართულ ნომენკლატურაში,

ითვალისწინებენ რა ზუსტი შედარებადი მონაცემების მნიშვნელობას საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებების მიზნებისთვის,

ითვალისწინებენ რა, რომ ჰარმონიზებული სისტემა განკუთვნილია სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების სატრანსპორტო ტარიფებისა და სატრანსპორტო სტატისტიკის მიზნებისთვის,

ითვალისწინებენ რა, რომ ჰარმონიზებული სისტემა განკუთვნილია კომერციული საქონლის აღწერისა და კოდირების სისტემაში შეძლებისდაგვარად მეტი ინტეგრაციისთვის,

ითვალისწინებენ რა, რომ ჰარმონიზებული სისტემა განკუთვნილია იმპორტისა და ექსპორტის სტატისტიკასა და პროდუქციის სტატისტიკას შორის შეძლებისდაგვარად მჭიდრო ურთიერთკავშირის ხელშესაწყობად,

ითვალისწინებენ, რომ მჭიდრო კავშირი უნდა შენარჩუნდეს ჰარმონიზებულ სისტემასა და გაეროს სტანდარტულ საერთაშორისო სავაჭრო კლასიფიკაციას (SITC) შორის,

ითვალისწინებენ რა, რომ სასურველია ზემოაღნიშნული საჭიროების დაკმაყოფილება კომბინირებული სატარიფო-სტატისტიკური ნომენკლატურის საშუალებით, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინტერესებისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული,

ითვალისწინებენ რა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჰარმონიზებული სისტემის განახლების უზრუნველყოფას ტექნოლოგიასა და საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად,

მხედველობაში იღებენ რა მომხდარი ტექნოლოგიური ძვრების ან საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების მნიშვნელობას, იმ მუშაობის გათვალისწინებით, რომელსაც ამ სფეროში საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს მიერ შექმნილი ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტი ეწევა,

მიიჩნევენ რა, რომ რაკი ზემოხსენებული კონვენცია ნომენკლატურის შესახებ ეფექტიან ინსტრუმენტს წარმოადგენს ზოგიერთი ამ მიზნის მისაღწევად, სასურველი შედეგების მიღწევის საუკეთესო გზას ახალი საერთაშორისო კონვენციის ხელმოწერა წარმოადგენს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

განმარტებები

ამ კონვენციის მიზნებისთვის:

(ა) "საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა", შემდგომში "ჰარმონიზებული სისტემა" ნიშნავს ნომენკლატურას, რომელიც შედგება თავებისა და ქვეთავებისგან და მათი შესაბამისი ციფრული კოდებისგან, ნაწილების, თავებისა და ქვეთავების შენიშვნებისა და ჰარმონიზებული სისტემის ინტერპრეტაციის ზოგადი წესებისგან, რომლებიც მოცემულია ამ კონვენციის დანართში;

(ბ) "საბაჟო სატარიფო ნომენკლატურა" ნიშნავს ნომენკლატურას, რომელიც მიღებულია კონვენციის მონაწილე მხარის კანონმდებლობის ფარგლებში იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო მოსაკრებლების დაკისრების მიზნებისთვის;

(გ) "სტატისტიკური ნომენკლატურები" ნიშნავს კონვენციის მონაწილე მხარის მიერ დაწესებულ საქონლის ნომენკლატურებს საიმპორტო და საექსპორტო ვაჭრობის სტატისტიკისთვის მონაცემების შესაგროვებლად;

(დ) "კომბინირებული სატარიფო/სტატისტიკური ნომენკლატურა" ნიშნავს ნომენკლატურას, რომელშიც კომბინირებულია საბაჟო სატარიფო და სტატისტიკური ნომენკლატურები, რომელიც ლეგალურად სჭირდება მონაწილე მხარეს იმპორტისას საქონლის დეკლარირებისთვის;

(ე) "საბჭოს დამაფუძნებელი კონვენცია" ნიშნავს ბრიუსელში 1950 წ. 15 დეკემბერს ხელმოწერილ კონვენციას, რომელმაც დააფუძნა საბაჟო თანამშრომლობის საბჭო;

(ე) "საბჭო" ნიშნავს ზემოთ, (ე) პუნქტში აღნიშნულ საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს;

(ზ) "გენერალური მდივანი" ნიშნავს საბჭოს გენერალურ მდივანს;

(თ) ტერმინი "რატიფიკაცია" ნიშნავს რატიფიკაციას, მიღებას და დამტკიცებას.

მუხლი 2

დანართი

ამ კონვენციის დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, და კონვენციაზე ნებისმიერი მითითება დანართზე მითითებასაც გულისხმობს.

მუხლი 3

მონაწილე მხარეთა ვალდებულებები

1. მე-4 მუხლში ჩამოთვლილი გამონაკლისების გათვალისწინებით:

(ა) კონვენციის ყოველი მონაწილე მხარე იღებს ვალდებულებას, გარდა ამ პუნქტის (გ) ქვეპუნქტით დადგენილისა, რომ იმ დღიდან, როდესაც კონვენცია ძალაში შედის მასთან მიმართებაში, მისი საბაჟო სატარიფო და სტატისტიკური ნომენკლატურები ჰარმონიზებულ სისტემასთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი. ამგვარად ის კისრულობს ვალდებულებას, რომ საბაჟო სატარიფო და სტატისტიკურ ნომენკლატურასთან მიმართებაში:

(I) გამოიყენებს ჰარმონიზებული სისტემის თავებსა და ქვეთავებს დამატებებისა და ცვლილებების გარეშე, მათ შესაბამის ციფრულ კოდებთან ერთად;

(II) ჰარმონიზებული სისტემის და ყველა ნაწილის, თავებისა და ქვეთავების ინტერპრეტაციისთვის გამოიყენებს ზოგად წესებს, და არ შეცვლის ჰარმონიზებული სისტემის ნაწილის, კარის, თავისა და ქვეთავის ჩარჩოებს; და

(III) იგი მიჰყვება ჰარმონიზებული სისტემის ციფრულ თანმიმდევრობას

(ბ) ყველა მონაწილე მხარემ საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს თავისი საიმპორტო და საექსპორტო ვაჭრობის სტატისტიკა ჰარმონიზებული სისტემის

ექვსნიშნა კოდების შესაბამისად, ან, ამ მონაწილე მხარის ინიციატივით, სხვა მასშტაბით, იმდენად, რამდენადაც ეს არ არღვევს კომერციული კონფიდენციალურობას და ეროვნული უშიშროებას;

(გ) ამ მუხლით არაფერი არ მოითხოვს მონაწილე მხარისგან, რომ გამოიყენოს ჰარმონიზებული სისტემის ქვეთავები თავის საბაჟო სატარიფო ნომენკლატურაში, თუ იგი ასრულებს თავის ზემოაღნიშნულ ვალდებულებებს (ა) (I), (ა) (II) და (ა) (III) პუნქტების მიხედვით კომბინირებულ სატარიფო/სტატისტიკურ ნომენკლატურაში.

2. ამ მუხლის 1 (ა) პუნქტის ვალდებულელების შესაბამისად, ყოველმა მონაწილე მხარემ უნდა განახორციელოს ისეთი ტექსტუალური ცვლილებები მის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, რომელიც საჭიროა ჰარმონიზებული სისტემის ამოქმედებისათვის.

3. ამ მუხლით არაფერი უკრძალავს მონაწილე მხარეს, რომ თავის საბაჟო სატარიფო ან სტატისტიკურ ნომენკლატურაში შეიტანოს ქვედანაყოფები, რომელთა მიხედვითაც საქონლის კლასიფიკაცია უფრო დეტალური იქნება, ვიდრე ჰარმონიზებულ სისტემაში, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ქვედანაყოფი დაემატება ამ კონვენციის დანართში მოცემულ ექვსნიშნა ციფრულ კოდებს და კოდირებული იქნება უფრო მაღალი მაჩვენებლით.

მუხლი 4

ნაწილობრივი გამოყენება განვითარებადი ქვეყნების მიერ

1. ნებისმიერ მონაწილე მხარე განვითარებად ქვეყანას შეუძლია გადადოს მის მიერ ჰარმონიზებული სისტემის რამდენიმე ან ყველა ქვეპოზიციის გამოყენება რამდენიც საჭიროა იმდენი დროით, საერთაშორისო ვაჭრობის თავისებურებებიდან და ადმინისტრაციული რესურსებიდან გამომდინარე.

2. მონაწილე მხარე განვითარებადი ქვეყანა, რომელიც გადაწყვეტს ჰარმონიზებული სისტემის ნაწილობრივ გამოყენებას ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, თანახმაა ყოველი ღონე იხმაროს, რათა გამოიყენოს სრული ექვსნიშნა ჰარმონიზებული სისტემა მასთან მიმართებაში ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის, ან მეტი ხნის განმავლობაში, როგორც იგი ჩათვლის საჭიროდ ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებების გათვალისწინებით.

3. მონაწილე მხარე განვითარებადმა ქვეყანამ, რომელიც გადაწყვეტს ჰარმონიზებული სისტემის ნაწილობრივ გამოყენებას ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, უნდა გამოიყენოს ორი დეფისით გამოყოფილი ყველა ქვეთავი ან არცერთი მათგანი, ან ნებისმიერი თავის ყველა ერთი დეფისით გამოყოფილი ქვეთავი ან არც ერთი მათგანი. ნაწილობრივი გამოყენების ასეთ შემთხვევაში ჰარმონიზებული სისტემის გამოუყენებელი ნაწილის კოდის მეექვსე ან მეხუთე და მეექვსე ციფრები უნდა ჩანაცვლდეს შესაბამისად "0" ან "00"-ით.

4. როდესაც განვითარებადი ქვეყანა, რომელიც გადაწყვეტს ჰარმონიზებული სისტემის ნაწილობრივ გამოყენებას ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, ხდება მონაწილე მხარე, მან უნდა აცნობოს გენერალურ მდივანს იმ ქვეთავების შესახებ, რომლებიც არ შედის ძალაში იმ თარიღიდან, როდესაც კონვენცია ძალაში შედის მასთან მიმართებაში და ასევე უნდა აცნობოს გენერალურ მდივანს ამ თარიღის შემდეგ მის მიერ გამოყენებული ქვეთავების შესახებ.

5. ნებისმიერ განვითარებად ქვეყანას, რომელიც გადაწყვეტს ჰარმონიზებული სისტემის ნაწილობრივ გამოყენებას ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, შეუძლია მონაწილე მხარედ ქცევისას აცნობოს გენერალურ მდივანს, რომ იგი ოფიციალურად კისრულობს ექვსნიშნა ჰარმონიზებული სისტემის სრული გამოყენების ვალდებულებას იმ თარიღიდან სამი წლის განმავლობაში, როდესაც კონვენცია ძალაში შედის მასთან მიმართებაში.

6. ნებისმიერი განვითარებადი ქვეყანა, რომელიც ნაწილობრივ იყენებს ჰარმონიზებულ სისტემას ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, თავისუფლდება მე-3 მუხლში აღნიშნული ვალდებულებებისგან გამოუყენებელ ქვეთაყებთან მიმართებაში.

მუხლი 5

ტექნიკური დახმარება განვითარებადი ქვეყნებისთვის

მონაწილე მხარე განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა გაუწიონ განვითარებად ქვეყნებს, თხოვნის საფუძველზე, ტექნიკური დახმარება ურთიერთშეთანხმებული პირობებით, მათ შორის, პერსონალის ტრენინგთან, მათი არსებული ნომენკლატურების ჰარმონიზებულ სისტემასთან

მისადაგებასთან, მათი სისტემების ჰარმონიზებული სისტემის შესწორებებთან შესაბამისი ცვლილების საკითხებზე კონსულტაციებთან ან ამ კონვენციის დებულებების გამოყენებასთან მიმართებაში.

მუხლი 6

ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტი

1. ამ კონვენციით უნდა შეიქმნას კომიტეტი, რომელსაც უნდა ეწოდოს ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტი, და რომლის შემადგენლობაშიც შეელენ ყოველი მონაწილე მხარის წარმომადგენლები.
2. მისი სხდომები გაიმართება სულ ცოტა წელიწადში ორჯერ.
3. მისი სხდომები უნდა მოიწვიოს გენერალურმა მდივანმა, და, თუ მონაწილე მხარეების მიერ არ იქნება მიღებული სხვაგვარი გადაწყვეტილება, უნდა ჩატარდეს საბჭოს შტაბ-ბინაში.
4. ყოველ მონაწილე მხარეს ექნება ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტში ერთი საარჩევნო ხმა; თუმცა, ამ კონვენციის მიზნებისთვის და ნებისმიერი მომავალი კონვენციისთვის ზიანის მიუყენებლად, სადაც ევროკავშირის საბაჟო და მისი წევრი ერთი ან მეტი სახელმწიფო მონაწილე მხარეები იქნებიან წარმოდგენილი, ასეთ მონაწილე მხარეებს ერთად ექნებათ მხოლოდ ერთი ხმა. ანალოგიურად, თუ საბაჟოს ან ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოები, რომლებიც შეიძლება გახდნენ მონაწილე მხარეები 11 (ბ) მუხლის დებულებებით, გახდებიან მონაწილე მხარეები, მათ ერთად ექნებათ მხოლოდ ერთი ხმა.
5. ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტი ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ერთ ან რამდენიმე მოადგილეს.
6. იგი შეიმუშავებს თავის პროცედურულ წესებს მისი წევრების კუთვნილი ხმების არანაკლებ ორი მესამედით მიღებული გადაწყვეტილებით. ამგვარად შედგენილ პროცედურულ წესებს საბჭო დაამტკიცებს.
7. იგი მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, დამკვირვებლების სახით, მოიწვევს იმ სამთავრობათაშორისო ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლის.
8. იგი საჭიროებისამებრ შექმნის ქვეკომიტეტებს ან მუშა ჯგუფებს, მე-7 მუხლის 1(ა) პუნქტის დებულებების გათვალისწინებით, და თავადვე განსაზღვრავს ასეთი ქვეკომიტეტების ან მუშა ჯგუფების შემადგენლობას, ხმის მიცემის უფლებებსა და პროცედურულ წესებს.

მუხლი 7

კომიტეტის ფუნქციები

1. ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტს, მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით, ექნება შემდეგი ფუნქციები:
(ა) კონვენციის ისეთი ცვლილებების შეთავაზება, რომლებსაც სასურველად ჩათვლის, განსაკუთრებით, მომხმარებელთა საჭიროებებისა და ტექნოლოგიაში ან საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში ცვლილებების გათვალისწინებით;
(ბ) განმარტებითი ბარათების, კლასიფიკაციის შესახებ მოსაზრებებისა და სხვა სახის რჩევების მომზადება, როგორც ჰარმონიზებული სისტემის ინტერპრეტაციის სახელმძღვანელო პრინციპებისა;
(გ) რეკომენდაციების მომზადება ჰარმონიზებული სისტემის ინტერპრეტაციისა და გამოყენების ერთგვაროვნების უზრუნველყოფის მიზნით;
(დ) ჰარმონიზებული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეჯერება და ცირკულაცია;
(ე) საკუთარი ინიციატივით ან თხოვნის საფუძველზე, ინფორმაციის ან ინსტრუქციების მიწოდება ჰარმონიზებულ სისტემაში საქონლის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით მონაწილე მხარეებისთვის, საბჭოს წევრებისთვის და ისეთი სამთავრობათაშორისო ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს კომიტეტი;
(ვ) საბჭოს ყოველ სესიაზე საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარმოდგენა, შეთავაზებული შესწორებების, განმარტებითი ბარათების, კლასიფიკაციის შესახებ მოსაზრებებისა და სხვა რჩევების ჩათვლით;

(ზ) სხვა უფლებამოსილებათა და ფუნქციების განხორციელება ჰარმონიზებულ სისტემასთან მიმართებაში, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევენ საბჭო ან მონაწილე მხარეები.

2. ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, რომლებსაც ბიუჯეტთან აქვთ შეხება, საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

მუხლი 8

საბჭოს როლი

1. საბჭო განიხილავს ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტის მიერ მომზადებულ წინადადებებს კონვენციის შესწორებასთან დაკავშირებით და მე-16 მუხლში მოცემული პროცედურის შესაბამისად რეკომენდაციას გაუწევს მათ მონაწილე მხარეების წინაშე. თუ საბჭოს რომელიმე წევრი, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მონაწილე მხარეს, არ მოითხოვს, რომ წინადადებები ან მათი რომელიმე ნაწილი დაუბრუნდეს კომიტეტს ხელახალი განხილვისათვის.
2. ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტის სესიაზე მე-7 მუხლის 1 პუნქტის დებულებების შესაბამისად შემუშავებული განმარტებითი ბარათები, კლასიფიკაციასთან დაკავშირებული მოსაზრებები და ჰარმონიზებული სისტემის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული სხვა რჩევები და ჰარმონიზებული სისტემის ინტერპრეტაციისა და გამოყენების ერთგვაროვნების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები უნდა ჩაითვალოს საბჭოს მიერ დამტკიცებულად, თუ სესიის დახურვიდან სულ ცოტა ორ თვეში კონვენციის მონაწილე არც ერთი მხარე არ გაუგზავნის გენერალურ მდივანს თხოვნას ასეთი საქმის საბჭოში გადაგზავნის შესახებ.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად საქმის საბჭოში გადაგზავნის შემთხვევაში საბჭო დაამტკიცებს ასეთ განმარტებით ბარათებს, კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს ან სხვა რჩევებს ან რეკომენდაციებს, თუ საბჭოს წევრი, რომელიც წარმოადგენს ამ კონვენციის მონაწილე მხარეს, არ მოითხოვს მათი ან მათი ნაწილის კომიტეტში გადაგზავნას ხელახალი განხილვისათვის.

მუხლი 9

საბაჟო ტარიფების განაკვეთები

მონაწილე მხარეები ამ კონვენციით არ იღებენ არავითარ ვალდებულებებს საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთებთან დაკავშირებით.

მუხლი 10

დავების მოგვარება

1. ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა მონაწილე მხარეებს შორის, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა მოგვარდეს მათ შორის მოლაპარაკების გზით.
2. ნებისმიერ დავას, რომელიც ვერ მოგვარდება, მონაწილე მხარეები გადასცემენ ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტს, რომელიც განიხილავს დავას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მისი მოგვარებისათვის.
3. თუ ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტი ვერ წყვეტს დავას, იგი გადასცემს საქმეს საბჭოს, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს საბჭოს დამაარსებელი კონვენციის III (ე) მუხლის შესაბამისად.
4. მოდავე მხარეები შეიძლება წინასწარ შეთანხმდნენ, რომ მიიღებენ კომიტეტის ან საბჭოს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულო იქნება.

მუხლი 11

მონაწილე მხარედ მიღების კრიტერიუმები

ამ კონვენციის მონაწილე მხარედ შეიძლება მიღებულ იქნეს:

(ა) საბჭოს წევრი ქვეყანა;

(ბ) საბაჟო ან ეკონომიკური კავშირები, რომლებსაც აქვთ კომპეტენცია, დადონ ხელშეკრულება ზოგიერთ ან ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომლებსაც არეგულირებს ეს კონვენცია; და

(გ) ნებისმიერი სხვა სახელმწიფო, რომელსაც შესაბამის მოწვევას გაუგზავნის გენერალური მდივანი საბჭოს მითითებით.

მუხლი 12

მონაწილე მხარედ მიღების პროცედურა

1. ნებისმიერი შესაფერისი სახელმწიფო ან საბაჟო ან ეკონომიკური კავშირი შეიძლება გახდეს ამ კონვენციის მონაწილე მხარე:
   (ა) რატიფიკაციის შესახებ შენიშვნის გარეშე მისი ხელმოწერის გზით;
   (ბ) რატიფიკაციის ინსტრუმენტის დეპონირების გზით კონვენციის ხელმოწერის შემდეგ, რომელიც რატიფიკაციას ექვემდებარება; ან
   (გ) შეერთების გზით მას შემდეგ, რაც კონვენცია დაიხურა ხელმოწერისთვის.
2. ეს კონვენცია ღია იქნება სახელმწიფოებისა და მე-11 მუხლში აღნიშნული საბაჟოების ან ეკონომიკური კავშირების მიერ ხელმოწერისთვის 1986 წ. 31 დეკემბრამდე საბჭოს შტაბ-ბინაში, ბრიუსელში. ამის შემდეგ იგი ღია იქნება შეერთებისთვის.
3. სარატიფიკაციო სიგელები ან შეერთების შესახებ დოკუმენტები გენერალურ მდივანს გადაეცემა.

მუხლი 13

ძალაში შესვლა

1. კონვენცია ძალაში შევა პირველ იანვარს, რომელიც დადგება სულ ცოტა 12 თვეში, მაგრამ არა უმეტეს 24 თვისა მას შემდეგ, რაც მას ხელს მოაწერს სულ ცოტა ჩვიდმეტი ქვეყანა ან მე-11 მუხლში აღნიშნული საბაჟოები ან ეკონომიკური კავშირები რატიფიკაციის შესახებ პირობის დაუთქმელად ან შესანახად გადასცემენ რატიფიკაციის ან შეერთების შესახებ დოკუმენტებს, მაგრამ არა 1987 წ. 1 იანვარზე ადრე.
2. ნებისმიერი ქვეყნისთვის ან საბაჟოების ან ეკონომიკური კავშირებისთვის, რომლებიც რატიფიკაციის შესახებ პირობი დაუთქმელად ხელს აწერენ ამ კონვენციას ან ახდენენ მის რატიფიკაციას ან უერთდებიან მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნა ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული მინიმალური რაოდენობა, კონვენცია ძალაში შევა პირველ იანვარს, რომელიც დადგება სულ ცოტა 12 თვის შემდეგ მაგრამ არა უმეტეს 24 თვის შემდეგ მას მერე, რაც მათ ხელი მოაწერეს კონვენციას რატიფიკაციის შესახებ პირობის დაუთქმელად ან მოახდინეს რატიფიკაციის ან შეერთების ინსტრუმენტების დეპონირება, თუ არ დაასახელებენ უფრო ადრეულ თარიღს. თუმცა, ძალაში შესვლა, ამ პუნქტის დებულებების შესაბამისად, ვერ მოხდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ძალაში შესვლის თარიღზე ადრე.

მუხლი 14

გამოყენება დამოკიდებული ტერიტორიების მიერ

1. ნებისმიერ ქვეყანას, კონვენციის მონაწილე მხარედ გახდომისას ან ნებისმიერ შემდგომ დროს, შეუძლია განაცხადოს, გენერალური მდივნისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით, რომ კონვენცია გავრცელდება შეტყობინებაში დასახელებულ იმ ტერიტორიებზე – ნაწილობრივ ან მთლიანად, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობაზეც იგი აგებს პასუხს. ასეთი შეტყობინება ამოქმედდება პირველ იანვარს, რომელიც დადგება სულ ცოტა 12 თვის შემდეგ მაგრამ არა უმეტეს 24 თვის შემდეგ გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან, თუ მასში არ არის აღნიშნული უფრო ადრეული თარიღი. თუმცა, კონვენცია არ ამოქმედდება ასეთ ტერიტორიებზე მანამ, სანამ არ შევა ძალაში შესაბამის ქვეყანაში.
2. კონვენცია აღარ გავრცელდება დასახელებულ ტერიტორიაზე იმ დღიდან, როდესაც შეწყდება მონაწილე მხარის პასუხისმგებლობა ამ ტერიტორიის საერთაშორისო

ურთიერთობებზე, ან უფრო ადრეული თარიღიდან, რომელიც უნდა ეცნობოს გენერალურ მდივანს მე-15 მუხლით გათვალისწინებული პროცედურით.

მუხლი 15

დენონსაცია

კონვენცია მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. მიუხედავად ამისა, ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია მისი დენონსაცია და ასეთი დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ დენონსაციის შესახებ დოკუმენტის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, თუ აღნიშნული არ იქნება უფრო გვიანდელი თარიღი.

მუხლი 16

შესწორების შეტანის პროცედურა

1. საბჭომ შეიძლება მისცეს მონაწილეებს კონვენციაში შესწორების შეტანის რეკომენდაცია.
2. ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია აცნობოს გენერალურ მდივანს, რომ აპროტესტებს რეკომენდებული შესწორების კონვენციაში შეტანას, და შეუძლია შემდგომ უკან გაითხოვოს ასეთი პროტესტი ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.
3. ნებისმიერი რეკომენდებული შესწორება ჩაითვლება მიღებულად მის შესახებ გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების დღიდან, იმ პირობით, რომ ამ პერიოდის ბოლოს არ მოქმედებს არცერთი პროტესტი.
4. მიღებული შესწორებები მონაწილე მხარეებისთვის ძალაში შევა ერთერთი ჩამოთვლილი თარიღიდან:
   (ა) თუ შეტყობინება რეკომენდებული შესწორებების შესახებ გაგზავნილია 1 აპრილამდე, ასეთი თარიღი იქნება პირველი იანვარი ამ შეტყობინების თარიღიდან ორი წლის შემდეგ, ან
   (ბ) თუ შეტყობინება რეკომენდებული შესწორებების შესახებ გაგზავნილია 1 აპრილის შემდეგ, ასეთი თარიღი იქნება პირველი იანვარი ამ შეტყობინების თარიღიდან სამი წლის შემდეგ.
5. ყოველი მონაწილე მხარის სტატისტიკური ნომენკლატურები და საბაჟო სატარიფო ნომენკლატურა, ან, მუხლი 3-ის 1 (გ) პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მისი კომბინირებული სატარიფო/სტატისტიკური ნომენკლატურა შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი შესწორებულ ჰარმონიზებულ სისტემასთან, ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული თარიღისთვის.
6. ნებისმიერი სახელმწიფო ან საბაჟო ან ეკონომიკური კავშირი, რომელიც ხელს აწერს რატიფიკაციის შესახებ შენიშვნის გარეშე, და ახდენს რატიფიკაციას ან უერთდება ამ კონვენციას, ჩაითვლება, რომ იღებს მის ნებისმიერ შესწორებას, რომელიც შესულია ძალაში ან მიღებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების თანახმად იმ თარიღისთვის, როდესაც ეს ქვეყანა ხდება მონაწილე მხარე.

მუხლი 17

მონაწილე მხარეების უფლებები ჰარმონიზებულ სისტემასთან მიმართებაში

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ჰარმონიზებულ სისტემაზე, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი, მე-8 მუხლი და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი აძლევს მონაწილე მხარეებს უფლებებს:

(ა) ჰარმონიზებული სისტემის ყველა ნაწილთან მიმართებაში, რომელსაც იგი იყენებს ამ კონვენციის დებულებებით; ან

(ბ) იმ თარიღამდე, როდესაც კონვენცია შედის ძალაში, მასთან მიმართებაში, მე-13 მუხლის დებულებების შესაბამისად, ჰარმონიზებული სისტემის ყველა ნაწილთან მიმართებაში, რომლების გამოყენების ვალდებულებაც აქვს იმ თარიღისთვის ამ კონვენციის დებულებების თანახმად; ან

(გ) ჰარმონიზებული სისტემის ყველა ნაწილთან მიმართებაში, იმ პირობით, რომ მან ოფიციალურად აცნობა ექვსნიშნა ჰარმონიზებული სისტემის გამოყენების

ეალდებულება მე-4 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული სამწლიანი პერიოდის ფარგლებში და ასეთი პერიოდის გასვლამდე.

მუხლი 18

დათქმები

ამ კონვენციასთან დაკავშირებით დათქმები არ დაიშვება.

მუხლი 19

გენერალური მდივნის მიერ შეტყობინებების გაგზავნა

გენერალურმა მდივანმა მონაწილე მხარეებს, სხვა ხელმომწერ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ამ კონვენციის მონაწილე მხარეები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, უნდა გაუგზავნოს შემდეგი შეტყობინებები:

(ა) მე-4 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინებები;
(ბ) მე-12 მუხლში აღნიშნული ხელმოწერები, რატიფიკაციები და მიერთებები;
(გ) თარიღი, როდესაც კონვენცია ძალაში შედის მე-13 მუხლის შესაბამისად;
(დ) მე-14 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინებები;
(ე) მე-15 მუხლით გათვალისწინებული დენონსაციები;
(ვ) მე-16 მუხლის შესაბამისად რეკომენდებული კონვენციის შესწორებები;
(ზ) პროტესტები მე-16 მუხლის შესაბამისად რეკომენდებული კონვენციის შესწორებებთან მიმართებაში, და, საჭიროებისამებრ, ამ პროტესტების გაუქმება; და
(თ) მე-16 მუხლის შესაბამისად მიღებული შესწორებები და მათი ძალაში შესვლის თარიღები.

მუხლი 20

რეგისტრაცია გაეროში

ეს კონვენცია რეგისტრაციაში უნდა გაატაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გაეროს წესდების 102-ე მუხლის დებულებების შესაბამისად, საბჭოს გენერალური მდივნის თხოვნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასამოწმებლად, ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერებმა, გვაქვს რა სათანადო უფლებამოსილება, ხელი მოვაწერეთ ამ კონვენციას.

შესრულებულია ბრიუსელში 1983 წლის ივნისის თვის 14 რიცხვში ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია, ერთ ორიგინალ ეგზემპლარად, რომელიც ინახება საბჭოს გენერალურ მდივანთან, რომელმაც მისი დამოწმებული ასლები უნდა გადასცეს ყველა სახელმწიფოს და საბაჟო ან ეკონომიკურ კავშირს, აღნიშნულს მე-11 მუხლ...

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შესწორების ოქმი

(შესრულებულია ბრიუსელში 1986 წ. 24 ივნისს)

ბრიუსელში 1950 წ. 15 დეკემბერს ხელმოწერილი საბაჟო თანამშრომლობის კონვენციის მონაწილე მხარეები და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა,

ითვალისწინებენ რა, რომ სასურველია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ კონვენციის (ბრიუსელი, 1983 წ. 14 ივნისი) ძალაში შესვლა 1988 წ. 1 იანვრიდან,

ითვალისწინებენ რა, რომ თუ წინამდებარე კონვენციის მე-13 მუხლი არ იქნა შესწორებული, აღნიშნულ დღეს კონვენციის ძალაში შესვლა ეჭვქვეშ დადგება,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ კონვენციის - რომელსაც ხელი მოეწერა ბრიუსელში 1983 წ. 14 ივნისს (შემდგომში "კონვენცია") - მე-13 მუხლის 1 პუნქტი უნდა შეიცვალოს შემდეგი ტექსტით:

"1. ეს კონვენცია ძალაში შევა უახლოეს პირველ იანვარს, რომელიც დადგება სულ ცოტა სამი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც მინიმუმ ჩვიდმეტი სახელმწიფო ან საბაჟო ან ეკონომიკური კავშირი, აღნიშნული ზემოთ, მე-11 მუხლში, ხელს მოაწერს მას რატიფიკაციის შესახებ პირობის დაუთქმელად ან მოახდენს რატიფიკაციის ან შეერთების შესახებ ინსტრუმენტების დეპონირებას, მაგრამ არა უადრეს 1988 წ. 1 იანვრისა".

მუხლი 2

ა. წინამდებარე ოქმი ძალაში შევა კონვენციასთან ერთად, იმ პირობით, რომ სულ ცოტა ჩვიდმეტი სახელმწიფო ან საბაჟო ან ეკონომიკური კავშირი, აღნიშნული მე-11 მუხლში, მოახდენს ამ ოქმის მიღების ინსტრუმენტების დეპონირებას საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს გენერალურ მდივანთან. თუმცა, არც ერთ სახელმწიფოს ან საბაჟო ან ეკონომიკურ კავშირს არ შეუძლია ამ ოქმის მიღების ინსტრუმენტის დეპონირება, თუ მანამდე ხელი არ მოუწერია ან იმავდროულად ხელს არ აწერს კონვენციას რატიფიკაციის შესახებ პირობის დაუთქმელად ან წინასწარ არ მოუხდენია ან იმავდროულად არ ახდენს კონვენციის რატიფიკაციის ან კონვენციასთან შეერთების ინსტრუმენტების დეპონირებას.

ბ. ნებისმიერი სახელმწიფო ან საბაჟო ან ეკონომიკური კავშირი, რომელიც ხდება კონვენციის მონაწილე მხარე წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, ზემოთ მოყვანილი "ა" პუნქტის შესაბამისად, იქნება ოქმით შესწორებული კონვენციის მონაწილე მხარე.

რეკომენდაციები
ჰარმონიზებული სისტემის შესწორებასთან დაკავშირებით

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ საერთაშორისო კონვენცია, რომელსაც ხელი მოეწერა ბრიუსელში 1983 წ. 14 ივნისს, ამ კონვენციის მე-16 მუხლის დებულებების შესაბამისად შესწორებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციებით:

1989 წლის 5 ივლისის რეკომენდაცია.
ეს რეკომენდაცია ძალაში შევიდა 1992 წლის 1 იანვარს.

1993 წლის 6 ივლისის რეკომენდაცია.
ეს რეკომენდაცია ძალაში შევიდა 1996 წლის 1 იანვარს.

1999 წლის 25 ივნისის რეკომენდაცია.
ეს რეკომენდაცია ძალაში შევიდა 2002 წლის 1 იანვარს.

2004 წლის 26 ივნისის რეკომენდაცია.
ეს რეკომენდაცია ძალაში შევიდა 2007 წლის 1 იანვარს.

ნაწილი II

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურა

შინაარსი

ჰარმონიზებული სისტემის ინტერპრეტაციის ძირითადი წესები

	კარი I ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები
	შენიშვნები I კარისთვის
ჯგუფი 01	ცოცხალი ცხოველები
ჯგუფი 02	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები
ჯგუფი 03	თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები
ჯგუფი 04	რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი; ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
ჯგუფი 05	ჩხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
	კარი II მცენარეული წარმოშობის პროდუქტები
	შენიშვნები II კარისთვის
ჯგუფი 06	ცოცხალი ხეები და სხვა მცენარეები; ბოლქვები, ფესვები და მცენარეების სხვა ანალოგიური ნაწილები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული ბალახი
ჯგუფი 07	ბოსტნეული და საკვებად ვარგისი ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები
ჯგუფი 08	საკვებად ვარგისი ხილი და კაკალი; ციტრუსების კანი ან ნესვის ქერქი
ჯგუფი 09	ყავა, ჩაი, მატე (პარაგვაის ჩაი) და სანელებლები
ჯგუფი 10	მარცვლოვანები
ჯგუფი 11	ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია; ალაო; სახამებელი; ინულინი; ხორბლის წებოვანა
ჯგუფი 12	ზეთოვანი მცენარეების თესლები და ნაყოფები; დანარჩენი თესლები, ნაყოფები და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი
ჯგუფი 13	შელაქი ბუნებრივი გაუსუფთავებელი; გუმფისები, ფისები და სხვა მცენარეული წვენები და ექსტრაქტები

ჯგუფი 14	მცენარეული მასალები წნული ნაკეთობების დასამზადებლად; მცენარეული წარმოშობის დანარჩენი პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
	კარი III ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი გახლეჩის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები
ჯგუფი 15	ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი გახლეჩის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები
	კარი IV კვების მზა პროდუქტები; ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი; თამბაქო და მისი შემცვლელები
	შენიშვნები IV კარისთვის
ჯგუფი 16	მზა საკვები პროდუქტები ხორცის, თევზისა ან კიბოსნაირების, მოლუსკებისა ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან
ჯგუფი 17	შაქარი და შაქრის საკონდიტრო ნაწარმი
ჯგუფი 18	კაკაო და პროდუქტები მისგან
ჯგუფი 19	მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლისა ან რძისაგან; ფქვილეული საკონდიტრო ნაწარმი
ჯგუფი 20	ბოსტნეულის, ხილის, კაკლისა ან მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების პროდუქტები
ჯგუფი 21	კვების სხვადასხვა პროდუქტები
ჯგუფი 22	ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი
ჯგუფი 23	კვების მრეწველობის ნაშთები და ნარჩენები; მზა საკვები ცხოველებისთვის
ჯგუფი 24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები
	კარი V მინერალური პროდუქტები
ჯგუფი 25	მარილი; გოგირდი; მიწები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი
ჯგუფი 26	მადნები, წიდა და ნაცარი

ჯგუფი 27	მინერალური საწვავი, ნავთობი და მათი გამოხდის პროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; მინერალური ცვილები
	კარი VI ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების პროდუქცია
	შენიშვნები VI კარისთვის
ჯგუფი 28	არაორგანული ქიმიის პროდუქტები; ძვირფასი ლითონების, იშვიათი მიწათა ლითონების, რადიოაქტიური ელემენტების ან იზოტოპების არაორგანული ან ორგანული ნაერთები
ჯგუფი 29	ორგანული ქიმიური ნაერთები
ჯგუფი 30	ფარმაცევტული პროდუქცია
ჯგუფი 31	სასუქები
ჯგუფი 32	სათრიმლავი ან საღებავი ექსტრაქტები; ტანინები და მათი წარმოებულები; საღებარები, პიგმენტები და დანარჩენი საღებარი ნივთიერებები; საღებავები და ლაქები; ფითხები და სხვა მასტიკები; პოლიგრაფიული საღებავი, მელნები, ტუში
ჯგუფი 33	ეთერზეთები და რეზინოიდები; პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები
ჯგუფი 34	საპონი, ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები, სარეცხი საშუალებები, საპოხი მასალები, ხელოვნური და მზა ცვილები, საწმენდი და საპრიალებელი შემადგენლობები, სანთლები და ანალოგიური ნაწარმი, საძერწი პასტები, პლასტილინი, „კბილსამკურნალო ცვილი“ და შემადგენლობები თაბაშირის საფუძველზე კბილსამკურნალო მიზნებისათვის
ჯგუფი 35	ცილოვანი ნივთიერებები; მოდიფიცირებული სახამებლები; წებოები; ფერმენტები
ჯგუფი 36	ფეთქებადი ნივთიერებები; პიროტექნიკური ნაწარმი; ასანთი; პიროფორული შენადნობები; ზოგიერთი საწვავი ნივთიერებები
ჯგუფი 37	ფოტო- და კინო-საქონელი
ჯგუფი 38	დანარჩენი ქიმიური პროდუქტები
	კარი VII პლასტმასები და მათი ნაწარმი; კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი
	შენიშვნები VII კარისთვის
ჯგუფი 39	პლასტმასები და მათი ნაწარმი
ჯგუფი 40	კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი
	კარი VIII დაუმუშავებელი ტყავები, გამოქნილი ტყავი, ნატურალური ბეწვი და მათი ნაწარმი; სასარაჯო-საუნაბირე ნაწარმი და აკაზმულობა; სამგზავრო ნივთები, ქალის ჩანთები და ანალოგიური საქონელი; ნაწარმი ცხოველების ნაწლავებისაგან (აბრეშუმის ჭიის ფიბრიონის ბოჭკოს გარდა)
ჯგუფი 41	დაუმუშავებული ტყავები (ნატურალური ბეწვის გარდა) და

	გამოქნილი ტყავი
ჯგუფი 42	ტყავის ნაწარმი; სასარაჯო-საუნაგირე ნაწარმი და აკაზმულობა; სამგზავრო ნივთები, ქალის ჩანთები და ანალოგიური საქონელი; ნაწარმი ცხოველების ნაწლავებისაგან (აბრეშუმის ჭიის ფიბრიონის ბოჭკოს გარდა)
ჯგუფი 43	ნატურალური და ხელოვნური ბეწვი; მათი ნაწარმი
	კარი IX მერქანი და მერქნის ნაწარმი; ხის ნახშირი; კორპი და მისი ნაწარმი; ჩალის, ალფის ან სხვა მასალის წნული; კალათები და სხვა მოწნული ნაწარმი
ჯგუფი 44	მერქანი და მისი ნაწარმი; ხის ნახშირი
ჯგუფი 45	კორპი და მისი ნაწარმი
ჯგუფი 46	ჩალის, ალფის და სხვა დასაწნავი მასალების ნაწარმი; კალათები და მოწნული ნაწარმი
	კარი X მასა მერქნის ან სხვა ბოჭკოვანი და ცელულოზური მასალებისგან; რეგენერირებული ქაღალდი ან მუყაო (მაკულატურა და ნარჩენები); ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი
ჯგუფი 47	მასა მერქნის ან სხვა ბოჭკოვანი და ცელულოზური მასალებისგან; რეგენერირებული ქაღალდი ან მუყაო (მაკულატურა და ნარჩენები)
ჯგუფი 48	ქაღალდი და მუყაო; ნაწარმი ქაღალდის მასის, ქაღალდის ან მუყაოსაგან
ჯგუფი 49	ნაბეჭდი წიგნები, გაზეთები, რეპროდუქციები და პოლიგრაფიული მრეწველობის სხვა ნაწარმი; ხელნაწერები, მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტები და გეგმები
	კარი XI ტექსტილის მასალები და ტექსტილის ნაწარმი
	შენიშვნები XI კარისთვის
ჯგუფი 50	აბრეშუმი
ჯგუფი 51	მატყლი, ცხოველების წმინდა და უხეში ბეწვი, ნართი და ქსოვილი ცხენის ძუისგან
ჯგუფი 52	ბამბა
ჯგუფი 53	დანარჩენი მცენარეული ტექსტილის ბოჭკო; ქაღალდის ნართი და ქაღალდის ნართის ქსოვილები
ჯგუფი 54	ქიმიური ძაფები; ბტყელი და მისგვარი ძაფები ქიმიური ტექსტილის მასალებისგან
ჯგუფი 55	ქიმიური ბოჭკოები
ჯგუფი 56	ბამბა, ქეჩა ან ფეტრი და უქსოვადი მასალები; სპეციალური ნართი;

	ბაწრები, თოკები, ბაგირები და გვარლები და მათი ნაწარმი
ჯგუფი 57	ხალიჩები და იატაკის დანარჩენი ტექსტილის საფარები
ჯგუფი 58	სპეციალური ქსოვილები; ტაფტინგური ტექსტილის მასალები; მაქმანები; გობელენები; გასაწყობი მასალები; ნაქარგები
ჯგუფი 59	ტექსტილის მასალები, გაჟღენთილი, დაფარეითა ან დუბლირებული; ტექნიკური დანიშნულების ტექსტილის ნაწარმი
ჯგუფი 60	ტრიკოტაჟის ტილოები მანქანით ან ხელით ნაქსოვი
ჯგუფი 61	ტრიკოტაჟის ტანსაცმელი და ტანსაცმელის საკუთნოები, მანქანით ან ხელით ნაქსოვი
ჯგუფი 62	ტანსაცმელი და ტანსაცმლის საკუთნოები, გარდა ტრიკოტაჟისაგან, მანქანით ან ხელით ნაქსოვი
ჯგუფი 63	ტექსტილის დანარჩენი მზა ნაწარმი; ნაკრებები; ნახმარი ტანსაცმელი და ტექსტილის ნაწარმი; ძონძები
	კარი XII ფეხსაცმელი, თავსაბურავები, ქოლგები, მზისაგან დასაცავი ქოლგები, ხელჯოხები და ხელჯოხ-დასაჯდომები, შოლტები, მათრახები და მათი ნაწილები; დამუშავებული ნაკრტენი და მისი ნაწარმი; ხელოვნური ყვავილები; ნაწარმი ადამიანის თმისაგან
ჯგუფი 64	ფეხსაცმელები, გეტრები და ანალოგიური ნაწარმი; მათი ნაწილები
ჯგუფი 65	თავსაბურავები და მათი ნაწილები
ჯგუფი 66	ქოლგები, მზისაგან დასაცავი ქოლგები,ხელჯოხები, ხელჯოხ-საჯდომები, შოლტები, მათრახები ცხენოსნობისათვის და მათი ნაწილები
ჯგუფი 67	დამუშავებული ნაკრტენი და ბუმბული და მათი ნაწარმი; ხელოვნური ყვავილები; ნაწარმი ადამიანის თმისაგან
	კარი XIII ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, ქარსის ან ანალოგიური მასალების ნაწარმი; კერამიკული ნაწარმი; მინა და მისი ნაწარმი
ჯგუფი 68	ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, ქარსის ან ანალოგიური მასალების ნაწარმი
ჯგუფი 69	კერამიკული ნაწარმი
ჯგუფი 70	მინა და მისი ნაწარმი
	კარი XIV მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები; ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონები და მათი ნაწარმი;

	ბიჟუტერია; მონეტები
ჯგუფი 71	მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები; ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია; მონეტები
	კარი XV არაძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი
	შენიშვნები XV კარისთვის
ჯგუფი 72	შაიი ლითონები
ჯგუფი 73	შაიი ლითონების ნაწარმი
ჯგუფი 74	სპილენძი და ნაკეთობები მისგან
ჯგუფი 75	ნიკელი და ნაკეთობები მისგან
ჯგუფი 76	ალუმინი და ნაკეთობები მისგან
ჯგუფი 77	*(რეზერვირებულია მომავალში ჰარმონიზებულ სისტემაში შესაძლო გამოყენებისთვის)*
ჯგუფი 78	ტყვია და ნაკეთობები მისგან
ჯგუფი 79	თუთია და ნაკეთობები მისგან
ჯგუფი 80	კალა და ნაკეთობები მისგან
ჯგუფი 81	დანარჩენი არაძვირფასი ლითონები; ლითონკერამიკა; მათი ნაწარმი
ჯგუფი 82	ინსტრუმენტები, სამარჯვები, დანისებრი ნაწარმი, კოვზები და ჩანგლები არაძვირფასი ლითონებისაგან; მათი ნაწილები არაძვირფასი ლითონებისაგან
ჯგუფი 83	დანარჩენი ნაწარმი არაძვირფასი ლითონებისგან
	კარი XVI მანქანები, მოწყობილობები და მექანიზმები; ელექტრო-ტექნიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები; ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა; სატელევიზიო გამოსახულებისა და ხმის ჩამწერი და აღმწარმოებლი აპარატურა, მათი ნაწილები და საკუთნოები
	შენიშვნები XVI კარისთვის
ჯგუფი 84	ბირთვული რეაქტორები, ორთქლის ქვებები (ბიოლერები), დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები
ჯგუფი 85	ელექტრული მანქანები და მოწყობილობები, მათი ნაწილები; ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა, სატელევიზიო გამოსახულებისა და ბგერის ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურა, მათი ნაწილები და საკუთნოები

	კარი XVII მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები, საფრენი აპარატები, მცურავი საშუალებები და ტრანსპორტთან დაკავშირებული მოწყობილობები და დანადგარები
	შენიშვნები XVI კარისთვის
ჯგუფი 86	რკინიგზის ლოკომოტივები ან ტრამვაის ძრავიანი ვაგონები, მოძრავი შემადგენლობა და მათი ნაწილები; საგზაო დანადგარები და მოწყობილობები რკინიგზისა ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის და მათი ნაწილები; ყველა სახის მექანიკური (ელექტრომექანიკურის ჩათვლით) სასიგნალო მოწყობილობები
ჯგუფი 87	მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები, რკინიგზისა ან ტრამვაის მოძრავი შემადგენლობის გარდა; მათი ნაწილები და საკუთნოები
ჯგუფი 88	საფრენი აპარატები, კოსმოსური აპარატები და მათი ნაწილები
ჯგუფი 89	გემები, ნავები და მცურავი კონსტრუქციები
	კარი XVIII ინსტრუმენტები და აპარატები ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, პრეციზიული, სამედიცინო ან ქირურგიული; ყველა სახის საათები; მუსიკალური ინსტრუმენტები; მათი ნაწილები და საკუთნოები
ჯგუფი 90	ინსტრუმენტები და აპარატები ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, პრეციზიული, სამედიცინო ან ქირურგიული; მათი ნაწილები და საკუთნოები
ჯგუფი 91	ყველა სახის საათები და მათი ნაწილები
ჯგუფი 92	მუსიკალური ინსტრუმენტები; მათი ნაწილები და საკუთნოები
	კარი XIX იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და საკუთნოები
ჯგუფი 93	იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და საკუთნოები
	კარი XX სხვადასხვა სამრეწველო საქონელი
ჯგუფი 94	ავეჯი; ლოგინის საკუთნოები, ლეიბები, ლეიბის ფუძეები, დივანის ბალიშები და ავეჯის ანალოგიური ნატენი საკუთნოები; ლამპები და სანათი მოწყობილობები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; მნათი მაჩვენებლები, მნათი ტაბლოები სახელით ან დასახელებით, ან მისამართით და ანალოგიური ნაწარმი; ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციები
ჯგუფი 95	სათამაშოები, თამაშები და სპორტული ინვენტარი; მათი ნაწილები და საკუთნოები

ჯგუფი 96	სხვადასხვა მზა ნაწარმი
	თავი XXI ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი
ჯგუფი 97	ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი
	* * *
ჯგუფი 98	*რეზერვირებულია კონვენციის მონაწილე მხარეების მიერ სპეციალურად გამოყენებისთვის*
ჯგუფი 99	*რეზერვირებულია კონვენციის მონაწილე მხარეების მიერ სპეციალურად გამოყენებისთვის*

აბრევიატურები და სიმბოლოები

ბკ	ბეკერელი
გ	გრამი
დტექს	დეციტექსი
ვ	ვოლტი
ვტ	ვატი
კალ	კალორია
კგ	კილოგრამი
კვ	კილოვოლტი
კვა	კილოვოლტ ამპერი
კვტ	კილოვატი
კი	კიური
კნ	კილონიუტონი
კპა	კილოპასკალი
ლ	ლიტრი
მ	მეტრი
მ²	კვადრატული მეტრი
მმ	მილიმეტრი
ნ	ნიუტონი
პა	პასკალი
სმ	სანტიმეტრი
სმ²	კვადრატული სანტიმეტრი
სმ³	კუბური სანტიმეტრი
ტ	ტონა
ჰც	ჰერცი
°C	გრადუსი ცელსიუსით
№	ნომერი
%	პროცენტი
ASTM	American Society for Testing Materials – მასალების ტესტირების ამერიკული საზოგადოება

მაგალითები

1500 გ/მ²	– ათასხუთასი გრამი კვადრატულ მეტრზე
15°C	– თხუთმეტი გრადუსი ცელსიუსით

ჰარმონიზებული სისტემის ინტერპრეტაციის ძირითადი წესები

საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზირებულ სისტემაში საქონლის კლასიფიკაცია უნდა ხორციელდებოდეს შემდეგი წესების შესაბამისად:

1. კარების, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების სახელწოდებები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციის ძიების გასაადვილებლად; იურიდიული მიზნებისთვის, საქონლის კლასიფიკაცია განისაზღვრება სასაქონლო პოზიციების ტექსტების მიხედვით და შესაბამისი კარისა და ჯგუფის განმარტებებით და, თუ ამ ტექსტებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, შემდეგი დებულებების შესაბამისად:
2. (ა) სასაქონლო პოზიციის დასახელებაში ნებისმიერი მითითება საქონელზე უნდა განიხილებოდეს, მათ შორის, როგორც მითითება ასეთ საქონელზე დაუკომპლექტებელი ან დაუმთავრებელი სახით, იმ პირობით, რომ არსებული სახით დაუკომპლექტებელი ან დაუმთავრებელი საგანი დაკომპლექტებული ან დამთავრებული საგნის ნიშან-თვისებების მატარებელია. ასევე, იგი უნდა განიხილებოდეს როგორც მითითება იმ საგანზე, როგორც დაკომპლექტებულსა და დამთავრებულზე (ან მოექცეს კლასიფიკაციაში, როგორც დაკომპლექტებული ან დამთავრებული, ამ წესის ძალით), თუ წარმოდგენილია აუწყობელ ან დაშლილ მდგომარეობაში.
   (ბ) სასაქონლო პოზიციის დასახელებაში ნებისმიერი მითითება მასალაზე ან ნივთიერებაზე უნდა განიხილებოდეს, მათ შორის, როგორც მითითება ამ მასალის ან ნივთიერების ნაერთებზე ან ნარევებზე სხვა მასალებსა და ნივთიერებებთან. ნებისმიერი მითითება საქონელზე, რომელიც დამზადებულია მოცემული მასალისგან ან ნივთიერებისგან, უნდა განიხილებოდეს, როგორც მითითება საქონელზე, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ შედგება ასეთი მასალის ან ნივთიერებისაგან. ერთზე მეტი მასალისგან ან ნივთიერებისგან შემდგარი საქონლის კლასიფიკაცია უნდა მოხდეს მე-3 წესის დებულებების შესაბამისად.
3. იმ შემთხვევაში, თუკი 2(ბ) წესით ან სხვა მიზეზით საქონელი, ერთი შეხედვით, შეიძლება მიეკუთვნოს ორ ან მეტ სასაქონლო პოზიციას, ასეთი საქონლის კლასიფიკაცია უნდა მოხდეს შემდეგნაირად:
   (ა) სასაქონლო პოზიციას, რომელიც იძლევა ყველაზე კონკრეტულ კლასიფიკაციას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ სასაქონლო პოზიციებთან შედარებით, რომლებიც იძლევა შედარებით ზოგად კლასიფიკაციას. თუმცა, თუ ორი ან მეტი სასაქონლო პოზიციათაგან ყოველი მიუთითებს ნარევებში ან მრავალკომპონენტიან ნაკეთობებში შემავალი მასალების ან ნივთიერებების მხოლოდ ნაწილზე, ან საცალო ვაჭრობისთვის განკუთვნილ ნაკრებებში წარმოდგენილი საქონლის მხოლოდ ცალკეულ ელემენტზე, მაშინ ასეთი სასაქონლო პოზიციები უნდა განიხილებოდეს, როგორც თანაბარმნიშვნელოვანი ამ საქონელთან მიმართებაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე მათგანი საქონლის უფრო სრულ ან ზუსტ აღწერას იძლევა.
   (ბ) სხვადასხვა მასალებისგან შედგენილი ნაერთები ან სხვადასხვა კომპონენტებისგან დამზადებული ნაკეთობები ან

მრავალკომპონენტიანი ნაკეთობები და საცალო გაყიდვისთვის განკუთვნილი ნაკრებში წარმოდგენილი საქონელი, რომელთა კლასიფიკაციაც არ შეიძლება განხორციელდეს 3 (ა) წესის დებულებათა მიხედვით, კლასიფიცირებულ უნდა იქნას იმ მასალების ან შემადგენელი ნაწილების მიხედვით, რომლებიც არსებითად განსაზღვრავენ მოცემული საქონლის ხასიათს, იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ამ კრიტერიუმის გამოყენება.

(გ) საქონელი, რომლის კლასიფიკაცია არ შეიძლება განხორციელდეს 3 (ა) ან 3 (ბ) წესების დებულებათა შესაბამისად, კლასიფიცირებულ უნდა იქნას მოცემული საქონლის კლასიფიკაციისას თანაბრად გამოსაყენებელ სასაქონლო პოზიციებს შორის კოდების ზრდის რიგში ბოლო ადგილზე მოთავსებული სასაქონლო პოზიციით.

4. საქონელი, რომლის კლასიფიკაცია არ შეიძლება განხორციელდეს ზემოაღნიშნული წესების მიხედვით, კლასიფიცირებულ უნდა იქნას იმ სასაქონლო პოზიციით, რომელიც შეესაბამება განსახილველი საქონლის ყველაზე მსგავს (მასთან ყველაზე ახლოს მდგომ) საქონელს.

5. გარდა ზემოთ მოყვანილი დებულებებისა, ქვემოთ ჩამოთვლილ საქონელთან მიმართებაში გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი წესები:

(ა) შალითები და ფუტლიარები ფოტოაპარატების, მუსიკალური ინსტრუმენტების, ცეცხლსასროლი იარაღის, სახაზავი ნივთების, სამკაულებისთვის და განსაკუთრებული ფორმის ანალოგიური ტარა (შესაფუთი), განკუთვნილი შესაბამისი ნაკეთობის ან ნაკეთობათა ნაკრებების შესანახად, და გამოსადეგია ხანგრძლივი ვადით გამოყენებისთვის და წარმოდგენილია იმ ნაკეთობებთან ერთად, რომლების შენახვისთვისაც არის განკუთვნილი, კლასიფიცირებულ უნდა იქნას მათში შეფუთულ ნაკეთობასთან ერთად. თუმცა, ეს წესი არ გამოიყენება იმ ტარის (შეფუთვის) მიმართ, რომელიც, ქმნის რა ერთ მთლიანს შეფუთულ ნაკეთობასთან ერთად, ანიჭებს ამ უკანასკნელს არსებითად განსხვავებულ ხასიათს.

(ბ) ზემოთ აღნიშული 5(ა) წესის დებულებების შესაბამისად, საქონელთან ერთად წარმოდგენილი შესაფუთი მასალები ან შესაფუთი კონტეინერები, კლასიფიცირებულ უნდა იქნან ერთობლივად, თუ მათ აქვთ ისეთი სახე, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ასეთი საქონლის შესაფუთად. თუმცა, ამ დებულების გამოყენება არ არის სავალდებულო, თუკი სავსებით ცხადია, რომ ასეთი შესაფუთი მასალები ან შესაფუთი კონტეინერები ვარგისია განმეორებით გამოყენებისთვის.

6. იურიდიული მიზნებისთვის, საქონლის კლასიფიკაცია რომელიმე სასაქონლო პოზიციის სუბპოზიციებში ხორციელდება ასეთი სუბპოზიციების დასახელებების და სუბპოზიციებთან დაკავშირებული შენიშვნების, ასევე ზემოთ მოყვანილი წესების დებულებათა შესაბამისად, იმ პირობით, რომ მხოლოდ ერთი და იგივე დონის სუბპოზიციებია შესადარისი. მოცემული წესის მიზნებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე შენიშვნები შესაბამისი კარისა და ჯგუფისთვის, თუ კონტექსტი არ მოითხოვს სხვაგვარად.

კარი I

ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები

შენიშვნები:

1. - ამ კარში ნებისმიერი მითითება ცხოველის კონკრეტულ გვარზე ან ჯიშზე, მოიცავს მითითებას ამ გვარისა და ჯიშის ახალგაზრდა ცხოველებზეც, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.
2. - მთელ ნომენკლატურაში ტერმინი „გამომშრალი" პროდუქტი, ნიშნავს აგრეთვე პროდუქტს, რომელმაც განიცადა დეჰიდრატაცია, ამოორთქლა და სუბლიმაციური შრობა, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ჯგუფი 01
ცოცხალი ცხოველები

შენიშვნა:

1. - ეს ჯგუფი მოიცავს ყველა ცოცხალ ცხოველს, გარდა:

(ა) 03.01, 03.06 ან 03.07 სასაქონლო პოზიციებში ჩამოთვლილი თევზისა და კიბოსებრთა, მოლუსკებისა და წყლის სხვა უხერხემლოებისა;

(ბ) 30.02 სასაქონლო პოზიციის მიკროორგანიზმების და სხვა პროდუქტების კულტურებისა; და

(გ) 95.08 სასაქონლო პოზიციის ცხოველებისა

